



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 68

21/06/2017

68-03-4-201706211346



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებული სამტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად, შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად და ზოგიერთი შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებული სამტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად, შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად და ზოგიერთი შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის მიზნით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - „სამუშაო ჯგუფი“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო გოგუაძე - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

ბ) ირინე საჯაია - ჯგუფის წევრი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

გ) თამარ კილურაძე - ჯგუფის წევრი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში.

დ) ენვერ ჯაფარიძე - ჯგუფის წევრი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში.

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებული საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად, შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად და ზოგიერთი შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრისათვის შესაბამისი საკითხების შესწავლა, გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის წარდგენა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა